



# ეზო-უიჯკულტურულ-სპორტული მუშაობის ქერა

## „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს კლენური

საპა XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით დიდი და საპატიო ამოცანები დასახული ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების წინაშე. მათი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი არის საცხოვრებელ ადგილებში მშრომელთა და მოზარდთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაცია, რაც პირდაპირ კავშირშია X ხუთწლიანი უმთავრეს მოთხოვნასთან — ხალხის კეთილდღეობის ამაღლებასთან.

როგორ სრულდება სპა XXV ყრილობის გადაწყვეტილებები და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი ეფექტიანობისა და სრულყოფისთვის? აი, ეს იყო ამ დღეებში თბილისში გამართული „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს მეორე პლენუმის დღის წესრიგის ძირითადი საკითხი.

მომხსენებლებმა, ამ საზოგადოების თბილისისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებმა ა. მეგრელიძე და ჯ. კვიციანი, თანამომხსენებლებმა სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსმა ინსპექტორმა დ. პაპავამ თავიანთ გამოცდილებას ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საცხოვრებელ ადგილებში ფართოდ გასავრცელებული საბჭოების მუშაობის მასშტაბის გაზრდას, უფრო მეტი სტიმული მიიღოს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ.

თბილისში საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების რიცხვმა 76-ს მიაღწია, ყველა მათგანში მუშაობენ პედაგოგ-ორგანიზატორები, რომელთა უმრავლესობა უნარიანად უძღვება მინდობილ საქმეს. მათი უშუალო ზედამხედველობით ბევრგან დანიშნულენობისამებრ იყენებენ საცხოვრებელი ბინების შემოსავლის 2 და არასაცხოვრებელი ფართიდან საიჯარო შემოსავლის 5-პროცენტთან ანარჩევებს.

წყაფიერად მუშაობენ 26 კომისიის, საქარხნო და კალინინის რაიონების საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებთან შექმნილი ბავშვთა სპორტული კლუბები. ამ კლუბების ავტორიტეტს ამაღლებს ისიც, რომ ისინი რესპუბლიკის გამოჩენილ

სპორტმენთა სახელს ატარებენ, მაგალითად, ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელი ბ. პაიჭაძე ხშირად მიდის 61-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორაში, სადაც მისი სახელობის კლუბია შექმნილი. ვეტერანი ფეხბურთელი დიდ დახმარებას უწევს იქაურ ნორჩებს. მისი დამხმარებელია, რომ ამ კლუბის ფეხბურთელებმა „ტყაყის ბურთის პრიზის“ წლევედელ გათამაშებაში ჩემპიონობა მოიპოვეს.

სისტემატურად ეწყობა საცხოვრებელ ადგილებში გაშენებული სპორტული მოედნების დათვალიერება-კონსტრუქცია, იზრდება საშეფო ორგანიზაციების რიცხვი. ისინი სახლმმართველობებს მართა სპორტული ბუნების მშენებლობაში კი არ ეხმარებიან, არამედ უსასყიდლოდ აძლევენ სპორტულ ინვენტარს, მხარში უდგანან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ ორგანიზაციაში.

მართა წელს თბილისში 80 კომპლექსური და 27 მარტივი სპორტული მოედანი გაშენდა. სპორტულ სექციათა რაოდენობამ საცხოვრებელ ადგილებში 250-ს მიაღწია. სექციებს საზოგადოებრივი მწვრთნელები და ინსტრუქტორები უდგანან სათავეში. აქტივისტებს შორის არიან უმაღლესი სპეციალური განათლების მუშაკები, ფიზკულტურის მასწავლებლები რ. მაისურაძე, რ. ბაბიაიანი, დ. ჩიჩუა, ე. კობალიანი, რ. მუკარაშვილი, რომლებიც თავისუფალ დროს ცოდნას და გამოცდილებას ეზოს მოზარდებს გადასცემენ. საზოგადოებრივი მწვრთნელ-მასწავლებელთა დახმარებით ეწყობა სპორტული შეჯიბრებები და შეხვედრები გამოჩენილ სპორტმენებთან. უკანასკნელ ხანებში საგრძობლად ამაღლდა კულტურისა და დასვენების პარკების საქმიანობაც.

წარმატებები და მათი მიღწევის გზების გაანალიზების შემდეგ მომხსენებლებმა ნაკლოვანებებზე და მათ გამოძვევებ მიზეზებზეც გაამახვილეს ყურადღება. თქვეს, რომ დედაქალაქის კიროვის, ორგანიზაციის, პირველი მისისა და ლენინის სახელობის რაიონებში სუსტადაა ორგანიზებული მოზარდთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, საცხოვრებელ ადგილებში არ ტარდება სპორტული შეჯიბრებები. 55-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორასთან ფორმალურადაა შექმნილი ბავშვთა სპორტული კლუბი. კლუბს არა აქვს საშუალო გეგმა, არ შექმნილია სექციები. 24-ე და 38-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში მოზარდთა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი რაოდენობაა ჩაბმული. დამაფიქრებელია, რომ თბილისში საცხოვრებელ ად-

გილებში დღემდე არც ერთი მშენების ნიშნისანი არ მომზადებულა. სახლმმართველობები და პედაგოგ-ორგანიზატორები სათანადოდ ვერ აფასებენ კომპლექსის მნიშვნელობას. საზოგადოებრივი აქტივი ბევრგან არავითარ მუშაობას არ ეწყევა საცხოვრებელ ადგილებში სპორტული ბუნების პრიზების გადასაქრელად.

საგანგაშაო ის ფაქტი, რომ თბილისში მხოლოდ ერთი სტადიონია ბავშვთა განკარგულებაში. სულ დედაქალაქში 172 სპორტული მოედანია. ეს საშუალო საკემრო დონესთან შედარებით ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია.

არსებული სპორტული ბუნების გამოუყენებლობის შემთხვევებშიც ვხვდებით. მაგალითად, 82-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორას დღემდე არ გადაუჭრია საცხოვრებელ ადგილს ჩასხმის საკითხი. თემის დასახლებაში მე-7 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორა აქიანურებს დაეგვილი სპორტული ბუნების გაშენებას.

ჯ. კვიციანმა აღნიშნა, რომ ქუთაისის მიკრორაიონებში ტრადიციულ დამკვიდრდა ჯანმრთელობის სპარტაკიადების ჩატარება. სპორტის ცალკეულ სახეობებში ეწყობა სახლმმართველობის პირველობები, მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ ორგანიზაციისთვის უნარიანად იყენებენ დასვენების ორ დღეს. განსაკუთრებით პოპულარული გახდა ტურნიზმი. საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდა მიზნით მოსახლეობასთან ჩატარდა ლექცია-საუბრები. „სპარტაკის“ ქუთაისის საქალაქო საბჭომ სახლმმართველობების ბავშვთა გუნდებს საშუალოდ გადასცა სპორტული ფორმა და ინვენტარი...

შემდეგ ორატორმა აკაპიტაცია სახლმმართველობები, რომლებიც რატომღაც მხოლოდ „ტყაყის ბურთის პრიზზე“ მოზარდთა შეჯიბრების ორგანიზაციით ემყოფილებიან. აღნიშნა ისიც, რომ ახალი მიკრორაიონები კვლავ სპორტული ბუნების გარეშე შენდება. ბოლო ხანებში, მაგალითად, 14 საცხოვრებელი კორპუსი აიგო და არც ერთს არ აქვს სპორტული მოედანი. დაბალია პედაგოგ-ორგანიზატორთა კვალიფიკაცია, რაც საგრძობლად აფერხებს მოსახლეობაში სპორტმასობრივ და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას.

კამათში მონაწილეობდნენ „სპარტაკის“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ფორდანი, ამავე საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს ინსტრუქტორი გ. სლანოვა, თბილისის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორი თ. გოგრიძე, თბილისის ორგანიზაციის რაიონის უფროსი პედაგოგ-ორგანიზატორი ჯ. ლომკაცი.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ა. კორინთელმა.

# სტუდენტთა უპირატესობით


ცხინვალის სპორტულ ბუნებზე ჩატარდა სამხრეთ ოსეთის სპორტ-საზოგადოებრივი და უწყებთა ნაჯრები გუნდების საოლქო ტურნირი მძლეოსნობაში, ფეხბურთისა და ფრენბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „ბურვესტნიკის“, „განთიადის“, „სპარტაკის“, „კოლმეურნის“, „სოკოლისა“ და განათლების საქალაქო განყოფილების გუნდები. სამივე სახეობაში პირველობა

ბურვესტნიკის გუნდმა მოიპოვა პირველობა III — „განთიადის“. ფრენბურთში II ადგილი მოიპოვეს „სპარტაკის“ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა, III — „განთიადის“ ვაჟთა და ბავშვთა სპორტსკოლის გოგონათა კოლექტივებმა. ბურვესტნიკელმა ფეხბურთელებმა ფინალში „სპარტაკი“ დაამარცხეს — 5:4. 3. მელაქოვი

# საქართველოს რეპორაჟი

გაგაოსნობა 1978 წლის 1 იანვრისთვის

სახეობა	შედეგი	რეგორდსმენი	დამყარების წელი
100 მ	11,5	მ. ჭუთათელაძე (თბილისი, „ლოკ“) 1968	
200 მ	24,1	ნ. მკვირიანი (თბილისი, „დინ“) 1968	
400 მ	57,2	მ. მინაშვილი (თბილისი, „დინ“) 1971	
800 მ	2,13,6	რ. შვიკოშვილი (თბილისი, „ლოკ“) 1968	
1500 მ	4,18,0	საწყისი ნორმატივი	
3000 მ	9,32,0	საწყისი ნორმატივი	
4x100 მ	47,1	საპარტიველოს ნაპრაში (მ. ჭუთათელაძე, დ. ივლივა, თ. როგინაძე, გ. კონონიძე) 1968	
4x400 მ	3,57,8	განათლების სამინისტროს ნაპრაში (დ. ჭარბაძე, გ. მეტრეველი, გ. ტყეშელაშვილი, დ. ივანოვა) 1971	
100 მ	13,6	ლ. ივლივა (თბილისი, „სპარტ“) 1971	
თარჯობენი სტობა	181	მ. ალიბერიანი (თბილისი, „ბურ“) 1971	
სიმბალეზე	625	ნ. მკვირიანი (თბილისი, „დინ“) 1968	
პირთვის კვრა	16,09	ლ. ტულუნი (თბილისი, „დინ“) 1971	
მადროს ტყორცნა	62,04	ნ. ლაბაძე (თბილისი, „ბურ“) 1971	
ტყორცნა შუბი	54,76	ს. გუნაძე (თბილისი, „ბურ“) 1977	
ტყორცნა შუბი	3621	ლ. შვიკოშვილი (თბილისი, „ლოკ“) 1977	
100 მ	10,9	ლ. სანაძე (თბილისი, „ს.უ.კ“) 1968	
200 მ	21,2	თ. მინაშვილი (თბილისი, „ბურ“) 1968	
400 მ	47,5	ტ. ბახტაძე (თბილისი, „სპარტ“) 1967	
800 მ	1,49,8	ნ. მკვირიანი (თბილისი, „ბურ“) 1977	
1500 მ	3,45,5	ნ. შვიკოშვილი (თბილისი, „ბურ“) 1977	
5000 მ	14,11,2	მ. მინაშვილი (თბილისი, „ბურ“) 1972	
10000 მ	28,49,2	მ. მინაშვილი (თბილისი, „ბურ“) 1972	
მარათონი	2:23.11,0	მ. მინაშვილი (თბილისი, „ბურ“) 1972	
4x100 მ	40,8	საპარტიველოს ნაპრაში (მ. ჭუთათელაძე, დ. ივლივა, თ. როგინაძე, გ. კონონიძე) 1968	
4x400 მ	3,10,8	საპარტიველოს ნაპრაში (მ. ჭუთათელაძე, დ. ივლივა, თ. როგინაძე, გ. კონონიძე) 1968	
თარჯობენი	110 მ	მ. მინაშვილი (თბილისი, „დინ“) 1975	
400 მ	50,7	ნ. კოვალსკი (ქუთაისი, „დინ“) 1968	
3000 მ	8,28,0	ს. სარიპაძე (თბილისი, ასკ) 1977	
წინააღმდეგობით სპორტული სიარული	20 კმ	მ. მინაშვილი (თბილისი, „სპარტ“) 1968	
20 კმ	1:26.45,4	მ. მინაშვილი (თბილისი, „სპარტ“) 1968	
50 კმ	3:57.27,0	მ. მინაშვილი (თბილისი, „სპარტ“) 1968	
სიმბალეზე სტობა	217	რ. შვიკოშვილი (თბილისი, „დინ“) 1968	
სორტეზე სტობა	7,90	მ. მინაშვილი (თბილისი, „დინ“) 1967	
სამსტობი	17,44	მ. მინაშვილი (თბილისი, „დინ“) 1972	
ჭოკით ბირთვი	520	მ. მინაშვილი (თბილისი, „ლოკ“) 1975	
ბადრო	18,91	ნ. მკვირიანი (თბილისი, „ბურ“) 1969	
შუბი	62,80	მ. მინაშვილი (თბილისი, „დინ“) 1971	
ურთ	80,98	მ. მინაშვილი (თბილისი, „დინ“) 1966	
ურთ	77,64	მ. მინაშვილი (თბილისი, „დინ“) 1975	
ათტიდი	7879	მ. მინაშვილი (თბილისი, „დინ“) 1969	



არბ გვარამია ჩვენს ქვეყანაში ან საზღვარგარეთ ვინმე არ იცოდეს ალმა-ათის ცნობილი მალაქოთიანი საციგურაო მედლის შესახებ. მას ბევრჯერ უმასხინებია მსოფლიოს უძლიერესი მოციგურავეებისთვის. ამ საციგურაოვე ვეროისა და მსოფლიოს არაერთი რეკორდი დამყარებულია. 1978 წლის დამდეგს აქ გულთბილად მიიღეს თოვლის ბაბუა და თოვლის გოგონა.

ს უ რ ა თ ე: ჩაის სმა მადეოვ, ხაკდის ფოტო.



# ისტორიული სოფელი — კალონის კერა

ისტორიული კოლმურნობა „ტამიკუს“ თავდაცვი ე. აუნაბი საჭიდაო ხალხაზე გამოვიდა. რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე მუშაობის თავმჯდომარე წარმატებით ასპარეზობდა ძალისხმობაში ჩატარებულ ისტორიის სსრ სოფლის მუშაკთა სპარტაკიადში. მან — თავისი კოლმურნობის თავისუფალი სტილის მოტივებითა კაპიტანმა ამხანაგებმა გაბარევაბმდე მიიყვანა. ძალისხმობაში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში გამართულ შეჯიბრებებში კარგად გამოვიდა ტარტუს საჩვენებელი საბჭოთა მუშაობის კომპანია, გ. მარტია.

სულ სპარტაკიადში მონაწილეობდა 200 სპორტმენი მეტი (წინა წელთან შედარებით საკმაოდ ბევრი). — ისტორიის ყველა სახელგანთქმული ძალისანი, — ხაკდის კორეს-

პონდენტი უთხრა ე. აუნაბა, — სოფელში დაიბადა, მთ შორის წარსულში ცნობილი მოტივები გ. ლურიხი, ა. აბერგი და კ. პალუსაუ, ოლიმპიური ჩემპიონი, მრავალჯერ რეკორდსმენი შტაგისტი ი. ტალტი. ამ სპარტაკიადამ აჩვენა, რომ დღევანდელ ისტორიულ სოფელს ძაღსნები არ შემოკლებია.

8. ივლივი. ხაკდის კორ.

# „ჭადრაკის გაკვეთილები“ — სკოლაში

ზღვისპირეთის სკოლების დაწყებით კლასებში დაიწყო „ჭადრაკის გაკვეთილების“ ჩატარება. ისინი განსაკუთრებით კარგად არის ორგანიზებული ვლადივოსტოკსა და დალნეგორსკში, სადაც ჩამოყალიბებულია სპეციალური სპორტული ჯგუფები. მოსკოვისა და ორთოლის პედაგოგიური კოლეჯებში მაგალითურ ჭადრაკის გაკვეთილები ექვალსაგანზე შეცადინების სახე აქვს. სკოლის ყველა მესამეკლასელი უკვე დაუფლდა პირველ სიხსნებს, მოსწ-

ვლეთა შორის საუკეთესო კი ბავშვთა და მოზარდთა სპორტკლუბის სპეციალისტულ განყოფილებაში მგვა-დინებენ. ამგვარი გაკვეთილები ხელს უწყობს ამ პოპულარული თამაშის გავრცელებას და მესამეკლასელთა მოსწრებასაც ამაღლებს.

ი. ალაბოვი. ხაკდის კორ.

# გლადიოსტოკი. ბრესტის ცინემაგარის გმირთა პარიზი

ბრესტის ცინემაგარის დამგველი გმირების სახელობის VI საკემრო ტურნირში მონაწილეობდა რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, ესტონეთის, მოლდავეთის, სომხეთისა და მოსკოვის 120 მოკვივე. წინითი კატეგორიების მისხვდით ტურნირის გამარჯვებულები არიან: ა. ილინი (ნარვა), ნ. სერგევი (მინსკი), ი. პრინციპოვი, ვ. ლესუნი (ორივე — ვიტბესკი), ფ. ბაკარი (ბორუსიკი), ვ. ლევიცი (მოგილიოვი), ვ. ალექსანდროვი (ირკუტსკი), ე. პოტაპოვი (ჩერეპოვეცი), ა. ჩუბინი (მინსკი), ა. დუნავეი (ბრესტი). (ხაკდის კორ.)

გვესაუბრებიან მწვრთნელები, სპორტსმენები

სპორტული სილნალი

ორი ფინალი

სპორტსმენის მესვერებმა მოაწყეს ტრადიციული თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალურ შეხვედრაში ბოდინისხეველმა მოსწავლეებმა ანგარიშით 2:1 დამარცხეს თასის ორგანიზატორები, წინორის პირველი საშუალო სკოლის ფეხბურთელები და გარდაამავალი ჯილდო მოიპოვეს.

სპორტსმენებმა „კოლმეურნის“ რაიონის თასის ფინალი უშედეგოადათ ბრძოლით აღინიშნა. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ წინორის ზოვეტტე-ქნიკუშისა და რაიკოპოპოვიჩის გუნდები. სტუდენტებმა სამი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში და საპატიო პრიზს დაუფლნენ.

ცაცხლის საჯარო

ტყვიის მსროლელთა რაიონულ შეჯიბრებაში 304 ქულით I ადგილი დაიკავა კოტეხატორთა გუნდმა, II ადგილზე, 296 ქულით გავიდნენ სამუნიკო სასწავლებლის მოსწავლეები. III ადგილზე გასულმა ბოდინის ორგანიზატორის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა 262 ქულა მოგროვეს.

საბილავო ხალჩაზე

სილნალში ტრადიციულ იქცა რაიონის მკვიდრის, წარსულში ცნობილი ფალანგის ვანო აბულაძის სახელობის გარდაამავალი თასის გათამაშება ქართულ ჭიდაობაში.

წინორის საჭიდაო დარბაზში მყურებლებმა ტანით დააჯილდოვეს წინორის კატეგორიების მიხედვით გამარჯვებული ზოვეტტე-ქნიკუშის მოსწავლეები: ა. ქავთარაშვილი, ლ. ჩხევიანი, მ. შილაშვილი, ზ. გიგოძე და თ. თამაზაშვილი.

მომავალმა სპეციალისტებმა გუნდურ ჩათვლაშიც I ადგილი დაიკავეს და თასი კვლავ შეინარჩუნეს. II ადგილზე გავიდნენ წინორის მესვერეების კომპლექსის მოჭიდავეები.

თ. კახალიაშვილი.

13 კოლექტივის უორის


კახაში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ კახის რაიონის სპორტსაზოგადოების პროგრამაში იყო ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ძალისხმობა, ტყვიის სროლა, მძლეოსნობა, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა სამბო, ჭიდაობა, შაში.

სპორტკლავში მონაწილეობდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებათა 13 ფიზკულტურული კოლექტივი.

198 მომგებიანი ქულით სპორტკლავის ჩემპიონი გახდა ოკაძის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი. 173 ქულით II ადგილი დაიკავეს თემის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებმა, III ადგილი 164 ქულით დაიკავეს საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივებს ზედათ.

ლ. ელისაბაშვილი.

აჯამებენ სპორტული წლის შედეგებს



ჩვენი მოკრივეები სწორ გზაზე დგანან

ეპიანი გორსტაძე — სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი კრივეში:

— გასული სპორტული წელი საბჭოთა მოკრივეებისთვის იღბლიანი გამოდგა. სსრ კავშირის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატში გუნდური პირველობა მოიგო. მე შევეცილი საბჭოთა სპორტისთვის დამებრუნებინა უძლიერესი მძიმეწონისის ტიტული. ახლა საერთო ფიზიკური მომზადებისთვის ვივარჯიშებ... ჰრეკიში, სკოლაში ძალიან მიტაცდება ეს თამაში და კრივი რომ არა... ხელთათმანის ლურსმანზე ჩამოკიდება ჯერ ადრეა. იანვარში საბჭოთა მოკრივეები მოსკოვსა და დონეცკში აშშ-ის ნაკრებთან ჩაატარებენ შეხვედრებს. შემდეგ თებერვლის ბოლოს, თბილისში დაიწყება საკავშირო ჩემპიონატი. მისში კი სეზონის მთავარი მოვლენა — მსოფლიოს ჩემპიონატი. ჩემი ოცნებაა მსოფლიო პირველობაში გამარჯვება.

ვფიქრობ, ახლა, მონრეალის ოლიმპიადში მარცხის შემდეგ, ჩვენი მოკრივეები სწორ გზაზე დგანან. ოლიმპიად 80-ში წარმატებით გამოსვლისთვის გვმართებს ისტატობის გაზრდა, ტექნიკის სრულყოფა და ბრძოლის სისწრაფის ამაღლება (საკდესი).

სურათზე: რინგზეა ე. გორსტაძე.

საჭიროა საგულდაგულოდ შედგენილი კალენდარი

პეტრე გოლოტნიკოვი — ოლიმპიური ჩემპიონი. სპორტის დამსახურებული მოღვაწე:

— შარშანდელი წლის ერთ-ერთი უბრწყინველესი, დასამახსოვრებელი მოვლენა იყო 18 წლის ზაპოროვიელი ქაბუჯის ვ. იაშენკოს ნახტომი. მან „ფანტასტიკური“ სიმაღლე (233 სმ) დაძლია და დიდი ხნის შესვენების შემდეგ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო რეკორდი დაუბრუნა მძლეოსნობის ამ პოპულარულ სახეობაში. მსოფლიო რეკორდები გააუმჯობესეს მაკეიკეკემა ნ. ტკაჩენკომ (ხუთქილი) და კრასნოდარელმა ტ. სტოროჟევამ (400 მ. თარჯბენი), ევროპის რეკორდი კი — სტავროპოლელმა ათქიდელმა ვ. გრებნიუკმა. ვილინუსელი ვ. ბარდაუსკევიჩს უწევს უვლაზე შორის (682 სმ სიგრძეზე) გადახტა. ლენინგრადელმა ვ. ტროიმიენკომ ქოკით 559 სმ სიმაღლე გადალახა. მისმა თანაქალაქელმა მ. სიდოროვამ 400 მეტრი 50,98-ში დაფარა. ეს საკავშირო რეკორდები (სულ 1977 წელს ჩვენმა მძლეოსნებმა 10-ჯერ შეიტანეს ცვლილება ქვეყნის უმაღლესი მიღწევების ცხრილში) „მსოფლიო სტანდარტების“ დონეზე დგანან.

უნდა ითქვას, რომ გასულმა მძლეოსნურმა სეზონმა საბჭოთა სპორტსმენებს წყნად მოუტანა. გდრ-ის სპორტსმენებმა მნიშვნელოვანი უპირატესობით სძლიეს საბჭოთა ნაკრებს; ევროპის თასის გათამაშების 12 წლის მანძილზე პირველად, საბჭოთა მძლეოსანი ვაჟები ფინალში III ადგილს დასა-



ჯერდნენ, რის გამოც მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაში მხოლოდ ქალთა გუნდი გამოვიდა. უიბლო ასპარეზობის მთავარი მიზეზი, რომელიც „ქრონიკულად“ იქცა, რბენაში ჩამორჩენა. ოლიმპიური პროგრამის 12 „სარბენ“ ნომერში საბჭოთა სპორტსმენებმა მხოლოდ ორში (!) შეძლეს მსოფლიოს საუკეთესოთა ათეულში მოხვედრა და ისიც შეათე ნომრად. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა სასწრაფო, გააუმჯობესო სეზონის მიღება, კერძოდ, სპორტანგარიშის საკითხების მოგვარება, მეცნიერებებზე დამყარებული წვრთნის ერთნაირი მეთოდის შემუშავება, შეჯიბრების საგულდაგულოდ მოფიქრებული კალენდარი.

სურათზე: ვ. ბარდაუსკენე.

არ უნდა გენდოს კლებული ტემპი



სურათზე: ი. მოსიყვა და ა. მინეკოვი.

ბაბინა ბარასკვა — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი:

— ფიგურისტებისთვის „წელი“ და „სეზონი“ ერთი და იგივე არ არის. და მაინც რა მოგვიხატა 1977 წელმა? ი. როდინამ და ა. ზაიციემ, როგორც ევროპის, ისე მსოფლიო ფორუმებზე ერთხელ კიდევ დამტკიცეს წყვილთა სრიალში თავიანთი უეჭველი უპირატესობა. ი. მოსიყევამ და ა. გორსტაძემ ამჯერად იქვე უღალატეს სპორტული ცეკვის საბჭოთა სკოლის ტრადიციებს. ძნელი და ამიტომ ორმაგად საპატიო იყო ტოკიოში ვ. კოვალიოვის მიერ მომზადებული ოქროს მედალი. დაბოლოს, ერთეულთა სრიალში ქვეყნის ჩემპიონი ე. გო-

ლორბოვა წლებულს თანაბრად იბრძოდა ევროპისა და მსოფლიოს უძლიერეს ფიგურისტებთან.

მაგრამ ახლა, ახალი წლის დასაწყისში უნდა ვეცადოთ, რომ არ განვლდეს აღებულ ტემპი. ამისთვის საჭიროა თავდაუზოგავი შრომა, ახალი ტალანტების ძიება, თუმცა ახალმა სეზონმა უკვე გამოავლინა ახალი სახელები. ჩვენ ფიგურისტები, სპორტსმენები და მწვრთნელები, როგორც ერთი წლის წინათ, ახლაც ვეზუდებით ყველაზე საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის. ბევრს ვეგარეობთ. თუ რამდენად კარგად, ამას გაგაჩვენებს ევროპის (სტრასბურგში) და მსოფლიოს (ოტავაში) ჩემპიონატები, რომლებსაც იმედითა და ოპტიზმით აღსავსენი მოველით.

ქაქაკი

სპასკის უპირატესობით

2 იანვარს ბელგრადის პროფკავშირების სახლში განასულდა ბრძოლა ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ბ. სპასკისა და ვ. კორჩნოს შორის. გათამაშდა XIV პარტია.

სუთსათაონი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო. საიდუმლო, 41-ე სვლა სპასკიმ ჩაიჭრა. შეწყვეტილ პოზიციასში მას მსუბუქი ფიგურასა და პაიკში ეტლი აქვს.

ეს პარტია გუშნ სადამოს დამთავრდებოდა დღეს კი უნდა შედგეს XV პარტია, რომელშიც სპასკი შავი ფიგურებით ითამაშებს.

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 7,5: 5,5 კორჩნოსის სასარგებლოდ.

მესამეკლასელი და უმარცხებლად

ლანიგოზში მოეწყო რაიონის ჩემპიონატი ჭადრაკში თეთრი ეტლის პრიზზე პირველობა შორის. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ლენინგორის პირველი და მეორე, იკოთის, ლარგვისის, ზაყორის, წინაგორის საშუალო და ბალანის რვაწლიანი სკოლების ნორჩები.

26 ქულით გაიმარჯვა პირველი საშუალო სკოლის გუნდმა. ტურნირმა გამოავლინა ნიჭიერი

აზოცანა

რ. თაპარიანი (თბილისი) ძღწვად სსრ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატის გამარჯვებული — მ. ჩიბურდანიძე, 5. ალექსანდრის, 5. იოსელიანს.



შამათი სამ სვლაში

3. მელქონი.

ჩვენი ოლიმპიური იმედი

დიდი კალათბურთის სისაღბროებთან ჩანახატი

„ლინამოს“ სტადიონის კალათბურთის საწვრთნელი დარბაზიდან ბიჭების მხიარული შეძახილები და მწვრთნელის სასტენის ხმა ისმოდა. ჩემი მომავალი ჩანახატის გმირი ახალგაზრდა კალათბურთელი გია ნათობიძე აქ იყო.

დარბაზში შესულს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ლევან ინჭიკაშვილი მომეგება. მასთანველი გულბილი, სიყვარულით მესაუბრება გიას წარმატებებზე, იმედებზე, რომელსაც ამ ნიჭიერი კალათბურთელზე აყარებს. თვითონ გია კი ჩემი, მორიდებული ხმით მიახმობს თავის სპორტულ ბიოგრაფიას. მომავალ კალათბურთელს ბავშვობაში ჭიდაობაშიც უცდია ბელი, მაგრამ... მაგრამ მისი ნამდვილი მისწრაფება სპორტულ სარბიელზე კალათბურთით იყო და ალბათ არც შემცდარა არჩევანში. მითუმეტეს, რომ ფიზიკური მონაცემებიც, პირველ რიგში კი სიმაღლე უწყობდა ხელს.

მიხეილ ქორჭიას დარად. არც ის ავიწყდება, რომ მიზნის მისაღწევად შრომისმოყვარეობა და მიზანსწრაფულობაა გადამწყვეტი. საქმის სიყვარულიც, რა თქმა უნდა.

სიამოვნებით იგონებს გია საინტერესო და დაძაბულ შეხვედრებს ძლიერ მეტოქეებთან, განსაკუთრებით კი რიგში II ახალგაზრდულ თამაშებზე უკრაინის ნაკრებთან ჩატარებულ თამაშს.

— თამაშის დაწყებამდე საქართველოდან გამოგზავნილი დეპეშები წავიკითხეს, გვეუბნება გია, — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვიქტორ სანევი გვამხმარებდა: „პირველად რომ გავიმარჯვე, სიზმარი ვნახე და ამისდა ნუ გეშინიათ, ბიჭებო, სიზმარი თქვენზეც ვნახე და აბა, თქვენ იცით, იმედი არ გამიცრუოთ“.

უხლათ ჩემპიონის წინასწარმეტყველება, ოქროს მედლით დამწვენილებული დაბრუნდნენ საქართველოში.

ახლა გია მომავალი შეჯიბრებისთვის ემზადება. ისევ ვარჯიში, ვარჯიში... ხომ უნდა გააძაბოს ის დიდი იმედი, რომელსაც მწვრთნელი და კალათბურთის გულმემატკივრები აყარებენ მასზე, იმედები, კიდევ უფრო რომ ზრდის პასუხისმგებლობას საქუთარი თავის, კოლექტივის წინაშე.

მ. ბახუბაშვილი.



# უნბრეთის სპორტის წარმატება

**ბუდაპეშტი.** 1977 წელს უნგრეთში დიდი ყურადღება დეთმო ახალგაზრდობას შორის ფიზიკულ კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საქმეს.

წლის შედეგების შეჯამების შემდეგ ქვეყნის სპორტულმა ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ მძაბრობა „წარმოიშობა ახალგაზრდობა“ დიდად პოპულარულია ქვეყანაში.

უნგრულმა სპორტსმენებმა კარგად იასპარეზეს წლის დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში. აქ მათ 7 ოქროს, 5 ვერცხლისა და 12 ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად მსოფლიოს 16 საუკეთესოთა შორის მოხვდა უნგრეთის ფეხბურთელი ნაკრები, რომელიც არგენტინაში მსოფლიო ჩემპიონატის ჩილოდებისთვის გააგრძელებს ბრძოლას.

გაიზარდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში ნაკრების შემადგენლობაში ახალგაზრდა ათლეტთა რაოდენობა. მიღებულია ზომები სპორტული მედიცინის შემდგომი განვითარებისა და სამეცნიერო გამოკვლევათა პრაქტიკული გამოყენებისთვის.

1977 წელს მწყობრში ჩაღვრა მდინეში დიდი სპორტული ობიექტი. ახალი სპორტული ნაგებობებს შორის აღსანიშნავია დიარის სტადიონი, დუნაუივარის 50-მეტრიანი დახურული აუზი, დებრეცენისა და სევეშეფერვარეს ხელოვნური საციკლოდრომი. მიღებულია გადაწყვეტილება ბუდაპეშტის სპორტის სასახლის აგების შესახებ.

მარტივი ტიპის სპორტანგობების უმეტესობა საზოგადოებრივი თანხებითა და ახალგაზრდობის ძალებით აშენდა (საქდესი).

# პირველი „ოლიმპიური პასპორტები“

**ბარშა.** პოლონეთის სპორტულმა ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ოლიმპიადის 80-ის დაწყებამდე ორ-ნახევარი წლით ადრე დაიწყონ ამ თამაშებისთვის კანდიდატთა შერჩევა. დეკემბრის ბოლოს გარშემოც კლუბ „ოლიმპი“ სპორტსმენებს ოფიციალურად გადასცეს პირველი „ოლიმპიური პასპორტები“.

როგორც ინტერპრესის სააგენტო იუწყება, ამ სახეობა ცერემონიაზე პოლონეთის სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა მარიან რენკამ ოლიმპიელთა ვალდებულებები და უფლებები გამოცხადა. მან თქვა, რომ „ოლიმპიური პასპორტის“ მიღება სპორტსმენს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. ამავე დროს ამ სპორტსმენებს შეუქმნიან ოპტიმალურ პირობებს მოსაზრლებლად.

ისინი, ვინც ოლიმპიადისთვის ემზადებიან, სამ წელს ადრე დაიწყებენ მომზადებას. პოლონეთის სპორტის ხელმძღვანელთა აზრით, წარმატების უზრუნველყოფის გამოკვეთებაში უნდა გააქტიურდეს ის სპორტსმენები, რომლებიც მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილეობის უფლებისთვის იბრძვიან.

„ოლიმპიური პასპორტი“ პირველმა მთავრმა ოთხი — ტოკიოს, მეხუთსმა, მიუნხენისა და მონრეალის

ოლიმპიადების მონაწილე ირგნა შეიქმნა. ამ პატივსცემის საპასუხოდ მან თქვა: „ძალიან გამახარა ოლიმპიურ გუნდში დასახლება. ყოველი თამაშები დაუვიწყარი მოვლენაა. მოსკოვის ოლიმპიადის შემთხვევაში იქნება, მასთან — ძალზე მნიშვნელოვანი, ვინაიდან ეს „საიუბილეო“ თამაშები ჩემს მრავალწლიან სპორტულ ცხოვრებაში უკანასკნელი იქნება“.

შეეცინათან ერთად ოლიმპიურ გუნდში ჩაირიცხნენ ცნობილი მძლეობები: გ. რაბუტინი, ი. გშოლა, ტ. სლოუსარსკი, გ. კოპაევიჩი, ბ. მალონოვსკი, თანამედროვე ხუთბრუნო მსოფლიოს ჩემპიონი გუნდი ი. ბეჩიაკის მეთაურობით. (საქდესი).

სურათი: ი. შევიცა.



# ჩემპიონების გამარჯვება

**იუგოსლავია**  
ლიუბლიანაში გამოცხადდა, რომ ახალგაზრდა მწვრთნელ ბერკაიციის ნაცვლად ადგილობრივ „ოლიმპიას“ სათავეში ჩაუდგა გამოცდილი სპეციალისტი ვლასნერი, რომელიც ადრე ავსტრიის ნაკრებისა და ინსბრუკის „სეპროესი-გაგერის“ ხელმძღვანელი იყო.

18 ტურის შემდეგ კვლავინდებურად ლიდერობს ბელგრადის „პარტიზანი“ — 30 ქულა. „გრენა ზეზდას“ აქვს 26, ზაგრების „დინამოსი“ და „პაილუსი“ (სპლიტი) 23 ქულა თითოეულს.

**ზოტლანდია**  
ახლა, როცა დასასრულს უახლოვდება 11 წრე (10 გუნდი ოთხ-ოთხჯერ ხვდება ერთმანეთს), ჯერჯერობით მტკიცეა „გლასგო რინჯერსის“ პოზიციები. მე-17 ტურში ამ გუნდმა დაამარცხა „მოტრეული“ (3:0) და 27 ქულით კვლავ ლიდერობს. 22 ქულა

და ერთით მეტი თამაში აქვს „ბერდინს“, რომელიც ედინბურგში თამაშობდა ადგილობრივ „პიტრინიანთან“ და წააგო — 0:2. „პარტიკ თისლი“ 17 თამაშის 21 ქულით მესამეა.

**აპსტრია**  
დაიწყო მესამე წრე (აქაც 10 გუნდი ოთხ-ოთხჯერ ხვდება ერთმანეთს). განსვავებამ ლიდერს „აუსტრიას“ და ჩემპიონს „სეპროესი-გაგერს“ (ინსბრუკი) შორის უკვე 10 ქულას მაღწია.

მე-19 ტურში „აუსტრია“ ვენაში თამაშობდა „ლინცერ ასე-სთან“ და გაიმარჯვა — 1:0. ასეთივე ანგარიშით გრაცში ადგილობრივმა „შტურმმა“ დაამარცხა „სეპროესი-გაგერი“.

„აუსტრიას“ 31 ქულა აქვს „სეპროესი-გაგერს“ და „შტურმს“ — 21-21 ქულა. დანარჩენი გუნდები ამ საშუალებას სავალდებულოდ ჩამორჩნენ.

**საბარძანეთი**  
გრძელდება მეტოქეობა ათენის კლუბებს აგესა და „პანათინაიკოსს“ შორის.

XIV ტურში ორივე გუნდი შინ თამაშობდა და მორიგი გამარჯვებით იხვეწა. აგესა სძლია ძლიერ პიროვნული კლუბს „კასტორიას“ — 1:0, სო-

ლო „პანათინაიკოსმა“ ანგარიშით 2:1 მოუგო პეტრასის „პანასიკოსს“.

14 ტურის შემდეგ 22 ქულით წინ არის აგესი. „პანათინაიკოსი“ მას 2 ქულით ჩამორჩება. 17-17 ქულა ერთ-ერთს ითმბა გუნდმა მოაგროვა: პირეთის „ოლიმპიკოსმა“, „კასტორიამ“, პირეთის „ეთიკოსმა“ და სალონიკის პათე-მა.

**თურქეთი**  
პირველი წრის ფინიშზე ბრძოლა ლიდერობისთვის ძირითადად 3 გუნდს შორის გაიმართა. ესენია სტამბოლის „ფენერბახჩე“, ჩემპიონი და თასის მფლობელი „ტრაბზონსპორი“ და სტამბოლის „გალათასარაი“.

XII ტურში „ფენერბახჩე“ სტუმრად თამაშობდა „ჯონგულდაკსპორთან“ და 2 ქულა აიღო — 1:0. „ტრაბზონსპორმა“ ასევე სტუმრად მოიგო მნიშვნელოვანი მატჩი „ემკიშეპირსპორთან“ — 2:0, „გალათასარაი“ დაამარცხა თავისივე ქალაქის „ბემიქთაში“ — 3:1.

ახლა პირველ ადგილზეა „ფენერბახჩე“, რომელსაც 18 ქულა და 1 გამოტოვებული თამაში აქვს. 16 ქულა მოაგროვა „ტრაბზონსპორმა“, 15 — „გალათასარაი“.

# პრეზიდენტის პრიზი

ნოვოსიბირსკში უკვე რამდენიმე წელია რეგულარულად ეწყობა ფინიშის პრეზიდენტის უკვე ოთხჯერის განმარჯვებულ სათიბლოპურო რბოლებში. ამჯერად ეს ასპარეზობა რსფსრ-ის ზამთრის სპორტკავშირის ნოვოსიბირსკის, კუზნეცის, ალტაისა და ვაშანის მთიანი რეგიონის მხადების ნიშნით ჩატარდა. სარბილზე ქალები, ვაჭები და იუნიათები გამოვიდნენ.

ქალთა 8-კილომეტრიან დისტანციაზე ნამდვილი სიურპრიზი გახლდათ ყაზანელი ქალიშვილის გ. მატვეევის წარმატება. მან არა მარტო თანატოლები დაამარცხა, არამედ ქალთა შორისაც აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი (31.25) აჩვენა. სპორტის ოსტატი ნ. კარაბინა (ნოვოსიბირსკი) ამ მთლიანობაში 33 წამით ჩამორჩა. სპეციალისტები მატვეევის გ. კულაკოვას მემკვიდრედ მიიჩნევენ.

ვაჭთა შორის 20 კილომეტრზე რბოლა მოიგო ნოვოსიბირსკელმა სპორტის ოსტატმა ს. კისელიძემ — 1:03.36.

# უდავო

## უპირატესობით

**ლონდონი.** გამოცემლობა „კემბრიჯ-აპ-მა“ გამოსცა ჯ. როორდის ნიშნის „სპორტი საბჭოთა საზოგადოებაში“, რომელშიც ავტორმა გადმოსცემს სსრ კავშირის სპორტის ისტორიას, ახალგაზრდობის სპორტისა და ფიზიკულ კულტურის შორის ურთიერთდაკავშირებულების პრობლემას.

როგორც რეცენზენტები აღნიშნავენ, როორდის ნიშნის „მოგვიტყვი“ ომ უდავო უპირატესობაა, რომელსაც სპორტსმენებს სოციალისტური საზოგადოება ანიჭებს. (საქდესი).

# ახალი წლის პირველი დღე

**დაპარი,** 3 იანვარი. ამჟამად, როდესაც ევროპაში მიმდინარეობს ასპარეზობები ზამთრის სახეობებში, დაკარბი დია მოედნებზე ჩატარდა აფრიკის კონტინენტის ჩემპიონატი კალათბურთში.

ტურნირი ახალი წლის პირველ დღეს დაიწყო. სასურველი საბრძოლო საჩუქარი — I ადგილი — „გაიკეთეს“ შეჯიბრების მასპინძლებმა — სენეგალელმა კოლონიზატორებმა, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში სძლიეს სპორტული კლუბის უნაქლეს რესპუბლიკის სპორტსმენებს — 103:72 (52:36). აფრიკელ კალათბურთელი ჩემპიონატი მეთავეჯერ ჩატარდა. (საქდესი).



მასშტაბი მძლეოსნური სესიონი სავესტის სინტეზის შეჯიბრებით და რა თქმა უნდა, მაღალი შედეგებითაც. დამყარდა ასობით ეროვნული, კონტინენტებისა და მსოფლიო რეკორდები. თუნდაც ის რად ღირს, რომ გ. იანკენკომ საბჭოთა კავშირის დუბრუნა სიმბოლურ სტამბოში მსოფლიო მიღწევა აღსანიშნავია აგრეთვე, მსოფლიო რეკორდების გაუმჯობესებაც ესტაფეტურში, ამ სახეობებში წარმატება ერთეულ სპორტსმენების ნიჭზე კი არა, კვარტეტების უნარიან მოქმედებაზეა დამოკიდებული. შარშან თავი გამოიჩინეს აშშ-ს

# კუბინი — მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ

**რიუ-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა კლავდიო კუტინიომ ახლახან ერთთვიანი მოგზაურობა მოაწყო ევროპის ქვეყნებში, სადაც გაცნობა სავარაუდოდ მეტოქეთა — გერმანიის, პოლონეთის, პოლანდიის, იტალიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდების თამაშს. „ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა მეტი უნდა იმუშაონ ფიზიკური მომზადებისთვის, — თქვა კუტინიომ, — ევროპელები მეჩვენებენ თამაშს ნებისმიერ ამინდში, რაც უშუალოდ განსაკუთრებულ წვრთნას მოითხოვს. ბრაზილიელების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არგენტინის მატჩები წვეიამში ჩატარდება და ამიტომ ჩემპიონატისთვის მზადების პროცესში უნდა გავითვალისწინოთ ეს გარემოება“.

კუტინიომ თქვა, რომ ევროპულ დიდი „ტოტალურ ფეხბურთს“, რომელსაც თამაშობს 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი გერმანიის ნაკ-

# ფეხბურთი

რები, ახლა ნაწილობრივ ბრაზილიელებიც მისდევენ.

— უდავო ყურადღებით ესწავლობენ გერმანიის ფეხბურთელი თამაშის ტაქტიკას, ძალიან ძნელია მათი „მეურვესიგან“ თავის დაღწევა. ამასთან ისინი ყოველთვის ბრწყინვალე ფიზიკურ ფორმაში არიან და სწრაფად გადადიან დაცვიდან თავდასხმაზე და პირიქით. ეს გუნდი სამართლიანად ატარებს მსოფლიოში უძლიერესის სახელს.

ბრაზილიის გუნდის მწვრთნელმა აღნიშნა, აგრეთვე, გერმანიისა და პოლანდიის ნაკრები გუნდების მთამაშეთა უნივერსალიზმი.

კუტინოს აზრით, ფინალურ ექვსეულში გასვლის შანსები აქვთ პოლანდიის, პოლონეთის, იტალიისა და გერმანიის გუნდებს, მაგრამ მას მაინც იმედი აქვს, რომ საბჭოთა ბრაზილიის ბრაზილიელი ფეხბურთელები დაისაკუთრებენ. (საქდესი).

# პ. პანოვი — საუკეთესო

1977 წლის საუკეთესო ფეხბურთელი მიჩნეეს სოფლის „ლევისკა“ სპორტკლუბისა და ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი პ. პანოვი. ბულგარეთის ყოველკვირეული „სტარტის“ მიერ მოწყობილი გახვებების დებეშთა სააგენტოს, რადიოსა და

ტელევიზიის სპორტული ჟურნალი-სტების გამოკითხვის შედეგად პანოვის 68 ქულა დაუგროვდა. მან 42 (1) ქულით გაუსწრო უახლოეს კონკურენტს. სულ ჟურნალისტებმა 15 ფეხბურთელი დაასახლეს. (საქდესი).



# რეკორდსმენები მიდიან...

**ბარლინი.** სამი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელმა, 100 მეტრზე გულაბმა ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენმა ულრიკე რინტმა განაცხადა, რომ სურს თავი დაანებოს სპორტს. 18 წლის დრეზენელი სპორტსმენი კოსმეტოლოგობას აპირებს.

მონრეალის ოლიმპიადის რინტერმა გაიმარჯვა 100 და 200 მეტრზე გულაბმა ცურვაში და 4x100 მეტრზე ესტაფეტაში. მსოფლიო სარბ-

ულიკეს თანაგუნდელი 17 წლის კარლა ლინკეც. იგი 1974 წლის ევროპის ჩემპიონია 200 მ ბრასის სტილით ცურვაში. ლინკეს სკოლის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტული აქვს სპორტული მედიცინის შესწავლა (საქდესი).

**რედაქტორი**  
ბ. გასილია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათსა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 880098, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპუტატების — თბილისი, „ლილო“ ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 99-97-80; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 98-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 98-97-56; მახორი-ფიზიკულ კულტურის მუშაობის — 98-97-55; სპორტის პროპაგანდა — 98-97-57; მისწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 98-97-58; ჟღერის — 98-97-57; სამხატვრო — 98-97-52; წერილების — 98-97-54; კორექტორები — 98-97-49; გამოშვება — 98-98-81; ფოტოლაბორატორია — 98-97-59; მემანქანები — 98-97-51.